პანელი განიხილავს ორ ურთიერთდაკავშირებულ საკითხს: რამდენად შესაძლებელია დიდი კულტურული ისტორიის მექონე „პატარა“ ლინგვისტური საზოგადოებისთვის შესაბამისი სივრცის პოვნა ისეთ „დიდ“ წიგნის ბაზრებზე, როგორიცაა ინგლისური, ფრანგული, ესპანური, ჩინური თუ სხვა? შავი ზღვის გარშემო და კავკასიის რეგიონში არსებულმა ამდენმა სხვადასხვა ენობრივმა კულტურამ ხელი როგორ უნდა შეუწყოს ერთმანეთს?

მოღეჩაშორი: ხოსე ბორგინო

სპიკერები: სვეტლოზარ ჟელევი, ბოგდან-ალექსანდრუ სტანესკუ, ნატამა ლომოური, ბოგდანა ნებორაკი

ხოსე ბორჩინო

გენერალური მდივანი, გამომცემელთა მსოფლიო ასოციაცია. შვეიცარია



ხოსე ბორჩინო 2015 წლიდან გამომცემელთა მსოფლიო ასოციაციის გენერალური მდივანია ჟენევაში. პოლიტიკის განვითარების მიმართულებით IPA-ში მუშაობა მან 2013 წელს, განყოფილების დირექტორად დაიწყო – ორგანიზება გაუწია IPA-ს გამომცემის თავისუფლების პრემიას (Prix Voltaire) და მართავდა IPA-ს საგანმანათლებლო-საგამომცემლო სექტორის აქტივობებს, მათ შორის, ყოველწლიურ კონფერენციას „რა მუშაობს?“ და საგანმანათლებლო-საგამომცემლო ფორუმს. სანამ IPA-ს შეუერთდებოდა, ხოსე ავსტრალიის გამომცემელთა ასოციაციაში მენეჯერი და ინდუსტრიის წარმომადგენელი გახლდათ. ის იყო ავსტრალიის ავტორთა საზოგადოების აღმასრულებელი დირექტორი და ლექტორი სიდნეის უნივერსიტეტში ლიტერატურული ჟურნალისტიკისა და კრეატიული ინდუსტრიების მიმართულებით, ასევე ონლაინ გაზეთის (NewMatilda.com) რედაქტორი. ხოსეს ეკავა მაღალი პოზიციები ავსტრალიის საბჭოს ლიტერატურულ კოლეგიაში და არის EDITIONSReview-ს დამფუძნებელი რედაქტორი.



სვამლოზან ჟაღვი

წიგნის ეროვნული ცენტრის დირექტორი. ბულგარეთი

სვეტლოზარ ჟაღვივს მოპოვებული აქვს სოფიას უნივერსიტეტის ხარისხი ისტორიაში და ლონდონის ღია უნივერსიტეტის დიპლომი კორპორაციულ მენეჯმენტში. ის არის წიგნის ეროვნული ცენტრისა და კულტურის ეროვნული სასახლის ლიტერატურული კლუბის (Peroto) დირექტორი.

სოფიას უნივერსიტეტში ასწავლის „პრაქტიკულ საგამომცემლო საქმეს“.

ჟაღვივი საგამომცემლო სფეროში 1998 წლიდან მოღვაწეობს და არის GRANTA ბულგარეთის როგორც დამაარსებელი, ასევე პირველი მთავარი რედაქტორი. მას აქვს ბულგარეთის ეროვნულ ტელევიზიაში; Cielia-ში წიგნის გამოცემის დირექტორად; ჟურნალში ARTizani-ში (რომელიც ხელოვნებისა და კულტურის შესახებაა) ლიტერატურულ რედაქტორად და სხვა არაერთ პოზიციაზე მუშაობის გამოცდილება.

2006 წელს ამერიკელ მწერალ ელიზაბეტ კოსტოვასთან ერთად დააფუძნა „ელიზაბეტ კოსტოვას ფონდი შემოქმედებითი წერისთვის“, რომელიც მიზნად ისახავს ბულგარული ლიტერატურისა და ინგლისურად მოლაპარაკე მსოფლიოს ერთმანეთთან დაკავშირებას. მისი, როგორც ჟიურის წევრისა და პრეზიდენტის მოვალეობები მოიცავს მრავალ პროგრამაში ჩართულობას, მათ შორისაა: პროგრამა „თარგმანები“, რომლის ორგანიზატორია ეროვნული ფონდი „კულტურა“, „ევროკავშირის პრიზი

ლიტერატურაში“, პრემია „წლის საუკეთესო რომანი“, პრემია „ჰელიკონი“, პრემია დრამატურგიაში (Askeer) და სხვ.

როგორც ავტორს, რედაქტორს და შემდგენელს გამოქვეყნებული აქვს ოთხი წიგნი: „ნელა ცხოვრებასა და ცხოვრების სიამოვნებებზე“, „ბულგარეთი მოწინავეთათვის“, „საკვები: მოხმარების წესი“ და „სცადე ეს“.



ბოგდან-ალექსანდრუ სტანესკუ

რედაქციის დირექტორი, საგამომცემლო სახლი „პანდორა M“. რუმინეთი

ბოგდან-ალექსანდრუ სტანესკუ (1979), 14 წელი იყო პრესტიჟული ლიტერატურული თარგმანების კოლექციის „პოლირომ ბიბლიოთეკის“ რედაქტორი. ახლა ის საგამომცემლო სახლი „პანდორა M“-ის რედაქციის დირექტორია. სტანესკუ მთავარი რუმინული გამოცემებისთვის წიგნების მიმომხილველი, ბუქარესტში დამოუკიდებელი ინტერნაციონალური ლიტერატურული ფესტივალის (FILB) დამაარსებელი და პრეზიდენტი და, ამასთანავე, ექვსი წიგნის ავტორია. გამოცემული აქვს ესეების ორი კრებული („რა გვაშორებს ერთად მოლდაველ მწერალ ვასილ ერნუსგან“; და „შემოდის ლანდი. წარმოსახვითი წერილები ოსიპ მანდელშტამს“), ორი პოეტური კრებული („ბრძოლის შემდეგ სული ველარ მოვითქვით“ და „anaBASis“) და სამი რომანი („ბავშვობა კასპარ ჰაუსერისა“, „ქარაჯალე. დაკარგული წერილი“ და „აბრაქასასი“). თარგმნილი აქვს ტენესი უილიამსის („მუში მენაჟე“, ჯეიმზ ჯოისის („წერილები ნორას“) სანდრა ნიუმანის, ალბერტო მანგუელის, ედვარდ ჰირშის („ფერმკრთალი ცეცხლი“), სიუ პრიდოს („მე ვარ დინამიტი. ნიცმეს ცხოვრება“), უილიამ ფოლკნერის („ვარდი ემილისთვის და სხვა მოთხრობები“), პოლ ოსტერის („მარტოობის გამოგონება“) და დენიელ მენდელსონის („ოდისეა“) ნაწარმოებები. 2015 წელს ბოგდან სტანესკუმ მოიპოვა წლის საუკეთესო ახალგაზრდა მწერლის ჯილდო. მას აქვს დოქტორის ხარისხი ლიტერატურაში.

ნატაშა ლომოური

მწერალთა სახლის დირექტორი. საქართველო



ნატაშა ლომოური 2011 წლიდან საქართველოს მწერალთა სახლის დირექტორია, უძღვება ძალიან აქტიურ ლიტერატურულ პროექტს – მწერალთა სარეზიდენციო პროგრამას და ორგანიზებას უწევს თბილისის საერთაშორისო ლიტერატურულ

ფესტივალს. მწერალთა სახლის განახლებულ ფუნქციებში შედის სხვადასხვა მთარგმნელობითი პროექტის განხორციელება და ქვეყნის წარდგენა საერთაშორისო წიგნის ბაზრობებზე. ნატაშამ ახლად გახსნილ მწერალთა სახლში დირექტორად მუშაობა 2011 წელს დაიწყო და წარმატებით გაართვა თავი საბჭოთა მწერალთა კავშირის გარდაქმნის ურთულეს ამოცანას. ეს ორგანიზაცია საბჭოთა დროს და დამოუკიდებლობის ადრეულ წლებში ღია იყო მხოლოდ პრივილეგირებული მწერალთა ჯგუფისთვის და მიუწვდომელი – ქართველი მწერლების ახალგაზრდა თაობისთვის. ახლა მწერალთა სახლი ერთ-ერთი ყველაზე ცოცხალი, თავისუფალი და მომავალზე ორიენტირებული ლიტერატურული და კულტურული ცენტრია საქართველოში.

ბოგდანა ნებორაკი

„The Ukrainians“, მთავარი რედაქტორი. უკრაინა



ბოგდანა ნებორაკი – ჟურნალისტი, კულტურული პროექტების მენეჯერი. მედია-საშუალება „The Ukrainians“-ის მთავარი რედაქტორი. სამართალმცოდნეობაში მაგისტრის ხარისხის მფლობელს შემოქმედებით ინდუსტრიაში ჟურნალისტად, კულტურის მენეჯერად და უკრაინული და საერთაშორისო პროექტების კურატორად მუშაობის 10 წლიანი გამოცდილება აქვს.

2020 წელს ბოგდანამ უკრაინულ წიგნის ინსტიტუტში პირველი სახელმწიფო მთარგმნელობითი გრანტის პროგრამა შეიმუშავა და წამოიწყო. 2020-2021 წლებში ბოგდანამ მონაწილეობა მიიღო „წიგნის არსენალის“ პროექტში „ლიტერატურა ექსპორტზე“, რომლის ფარგლებშიც უკრაინული კვლევები მსოფლიო მასშტაბით შეისწავლა და საერთაშორისო ლიტერატურული აგენტები გამოჰკითხა. ბოგდანას აქვს „წიგნის არსენალთან“ და „წიგნის ფორუმთან“ მუშაობის გამოცდილება. ის არის ლიტერატურული პოდეკასტის წამყვანი და თანამედროვე უკრაინული ლიტერატურის ლექტორი ინსტიტუტ პროექტორში.

2021 წელს ბოგდანას გიორგი ღონდაძის ჯილდოს ფარგლებში მიენიჭა წოდება „30/30 წლამდე: ყველაზე პერსპექტიული ახალგაზრდა ჟურნალისტი“, 2020 წელს კი „30/30 წლამდე: Kyiv Post“-ის ფარგლებში ყველაზე ნოვატორ უკრაინელად დასახელდა. მისი პოდეკასტი სამოქალაქო საზოგადოებაზე ლიტერატურის გავლენის შესახებ, რომელსაც „ავილე და წავიკითხე“ (Взяла і прочитала) ჰქვია, 2021 წელს 30 საუკეთესო უკრაინულ პოდეკასტს შორის მოხვდა.

ბოგდანა უკრაინულ წიგნის ინსტიტუტშიც მუშაობდა უფლებებისა და პოეზიის კატალოგებზე და მწერლის საავტორო უფლებებზე აგროვებდა მასალას.

11 აპრილი
12:35-13:25

სესია:

ზღვანზე – მწერლები სამხრეთ კავკასიიდან და შავი ზღვის რეგიონიდან განიხილავენ რუსულ ექსპანსიონიზმს

საქართველოსა და სომხეთისთვის რუსული ექსპანსიონიზმის საფრთხე უცხო არ არის. უკრაინაში რუსეთის მხეცურად შეჭრიდან მეორე თვეს მწერლები სამხრეთ კავკასიიდან და შავი ზღვის რეგიონიდან განიხილავენ, თუ რას ნიშნავს ომი მათსავე ქვეყნების უსაფრთხოებისთვის.

დიალოგი იმაზე, თუ რა გავლენას ახდენს რუსეთის აგრესია ამ რეგიონის კულტურის სფეროზე.

მოღვაწეობენ: პოლინა სადოვსკაია

სპიკერები: არმენ ოჰანიანი, პაატა შამუგია, ანდრეი კურკოვი

პოლინა სადოვსკაია

ამერიკის პენცენტრის ევრაზიის
პროგრამის დირექტორი. აშშ



პოლინა სადოვსკაია, Ph.D., არის ამერიკის პენცენტრის ევრაზიული პროგრამის დირექტორი, ორგანიზაციისა, რომელიც დგას ლიტერატურისა და ადამიანის უფლებების სადარაჯოზე. ის უძღვება პროგრამას, რომელიც აკავშირებს ამერიკელ მწერლებსა და ხელოვან-შემოქმედებს ამავე პროფესიის უკრაინელ, რუს, ბელარუს, სომეხ და ქართველ წარმომადგენლებთან, ასევე იცავს თავისუფლებას, რომელიც ამ კავშირის დამყარების გარანტიას იძლევა. იქამდე მუშაობდა იუნესკოს გამოსატვის თავისუფლებისა და მედიის განვითარების განყოფილებაში და 2014-2016 წლებში თანამშრომლობდა ნიუ-იორკში მდებარე ადგილობრივ ორგანიზაციასთან Habitat Pro Association. პოლინა ქალებისა და ახალგაზრდების უფლებების აქტიური მხარდამჭერია მთელ მსოფლიოში და არის როგორც IFEX-საბჭოს, ასევე რუსეთის მდგრადი განვითარების კოალიციის წევრი. ამჟამად ცხოვრობს თბილისში, საქართველოში.



არმენ ოჰანიანი

მწერალი, სომხეთის პენცენტრის
პრეზიდენტი. სომხეთი

არმენ ოჰანიანი (დაბადებული 1979 წელს, ნაშრომებს აქვეყნებს ფსევდონიმით Armen of Armenia) წერს მხატვრულ პროზას, ესეისტიკას და ეწევა ლიტერატურულ-მთარგმნელობით საქმიანობას. არმენი არის მოთხრობების კრებულის („კიკოსის დაბრუნება“) და რომანების ტრილოგიის (Mummyland) ავტორი. მოპოვებული აქვს ერევნის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფილოსოფიის ფაკულტეტის ბაკალავრის ხარისხი და სომხეთის ამერიკული უნივერსიტეტის კურსდამთავრებულის დიპლომი თარგმანთმცოდნეობაში (CTRA).



პაატა შაშუგია

მწერალი, საქართველოს პენცენტრის
პრეზიდენტი. საქართველო

პაატა შაშუგია ყველაზე გავლენიანი და პროვოკაციული თანამედროვე ქართველი პოეტია. მან თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფილოლოგიის ფაკულტეტი დაამთავრა. 2018 წლიდან პაატა შაშუგია საქართველოს პენცენტრის პრეზიდენტი.

2015 წელს გახდა პირველი ქართველი პოეტი, რომელმაც ყველაზე პრესტიჟული ლიტერატურული პრემია „საბა“ ორჯერ მოიპოვა.

2006 წელს სადებიუტო მინი პოემის „ანტიტყაოსანის“ გამოქვეყნებას (რომლითაც ავტორი დაუპირისპირდა „ვეფხისტყაოსანს“, ე.წ. „ქართულ ბიბლიას“) საქართველოს მასშტაბით ავტორის დიდი პოპულარობა მოჰყვა. საქართველოს პარლამენტის წევრებიც კი მოითხოვდნენ ამ წიგნზე ცენზურის დაწესებას, იმ მოტივით, რომ ნაწარმოები თავისი „ავი ზნით“ ტრადიციას შეებღავდა.

სამი წლის შემდეგ, 2010 წელს პაატა შაშუგიამ გამოაქვეყნა კრებული „უპირატესობა“, რომელიც კრიტიკამ დადებითად მიიღო და ავტორის საუკეთესო წიგნად მიიჩნია.

2012 წელს პაატა შაშუგიამ მოიპოვა „საბა“ – საქართველოში ყველაზე პრესტიჟული ლიტერატურული პრემია და მისი კრებული „დაუჯდომელი“ წლის საუკეთესო პოეტური კრებული გახდა. იმავე წელს არტ-ჟურნალმა „ცხელმა შოკოლადმა“ პაატა შაშუგია წლის ადამიანად დაასახელა.

2015 წელს პაატა შაშუგიამ მეორედ მიიღო ლიტერატურული პრემია „საბა“ და კრებული „შიზოგადობა“ წლის საუკეთესო პოეტურ კრებულად დასახელდა.

ანდრეი კურკოვი

მწერალი, პენ უკრაინის
პრეზიდენტი. უკრაინა



1961 წლის 23 აპრილს დაბადებული ანდრეი კურკოვი არის უკრაინელი რომანისტი, რომელიც რუსულად წერს. ის არის 20 რომანისა და 10 საბავშვო წიგნის ავტორი. ამჟამად მისი ნაწარმოებები თარგმნილია 37 ენაზე, მათ შორის ინგლისურად, იაპონურად, ფრანგულად, ჩინურად, შვედურად და ებრაულად. ასევე არის სტატიების ავტორი, რომლებიც ქვეყნდება სხვადასხვა პოპულარულ გამოცემაში, მათ შორისაა New York Times, The Guardian, New Statesman, La Liberation, Le Monde, Die Welt, Die Zeit.

გარდა ლიტერატურისა, ანდრეი კურკოვი აქტიურად არის დაკავებული ფილმებისთვის სცენარების წერით.

1997 წელს მისივე ნაწარმოების ადაპტაცია „სიკვდილ-სიცოცხლის საკითხი“ ბერლინის წლის საუკეთესო ევროპული ფილმის სცენარისტის ნომინაციის მოკლე სიაში მოხვდა. ამავე წელს გახდა ის ევროპული ფილმის აკადემიის (EFA) წევრი.

ანდრეი კურკოვი ხშირად მართავს ლიტერატურულ სახელოსნოებს და ძალიან პატარა მონაწილეებსაც კი ასწავლის საბავშვო მოთხრობების წერას. 2008-2010 წლებში იყო ბუკერის საერთაშორისო პრემიის ჟიურის წევრი. თავად 2002 წელს შვეიცარიის ქალაქ ბაზელში მიიღო მკითხველთა ჯილდო, 2001 წელს უკრაინაში – წლის მწერლის პრიზი, 2012 წელს რომში – ნიკოლაი გოგოლის საერთაშორისო პრემია, 2012 წელს კი საფრანგეთის ქალაქ კონიაკში გახდა მკითხველთა რჩეული წიგნისთვის „ორაკოვის მებაღე“.

მისი წიგნები ხასიათდება შავი იუმორით, პოსტსაბჭოთა რეალობით და სიურ-რეალიზმის ელემენტებით.

11 აპრილი
13:30-14:20

სასია:

კიევი, სოფია, ბუქარესტი, თბილისი – ოთხი ღიშინაუხუდი გარეჩება

„სოფიას საერთაშორისო წიგნის ბაზრობა და ლიტერატურული ფესტივალი“, ბუქარესტის „საერთაშორისო წიგნის ბაზრობა ბუქფესტი“, „თბილისის წიგნის საერთაშორისო ფესტივალი“ და კიევის საერთაშორისო ფესტივალი „წიგნის არსენალი“ - ყოველწლიურად შავი ზღვის აუზის არაჩვეულებრივი ქალაქები დიდ საგამომცემლო-ლიტერატურულ დღესასწაულებს მასპინძლობენ. საერთაშორისო წიგნის ფესტივალების ორგანიზებაში მრავალწლიანი გამოცდილების მქონე გამომსვლელები, ომისა თუ მშვიდობის დროს, რეგიონის ფესტივალების გამომწვევებისა და მიღწევების შესახებ მოგვითხრობენ.

მოღეჩაშორი: გვანცა ჯობავა

სპიკერები: იულია კობლოვეცი, დესისლავა ალექსიევა, მიჰაი მიტრიჩა



გვანსა ჯობავა

გამომცემელი, საქართველოს წიგნის
გამომცემელთა და გამავრცელებელთა ასოციაციის
თავმჯდომარის მოადგილე, საქართველო

სრული ბიოგრაფია იხილეთ 52-ე გვერდზე

იულია კოზლოვეცი

საერთაშორისო ფესტივალი „წიგნის
არსენალის“ (Mystetskyi Arsenal)
კოორდინატორი. უკრაინა



იულია კოზლოვეცი არის კოორდინატორი საერთაშორისო ფესტივალისა „წიგნის არსენალი“, რომელიც Mystetskyi Arsenal-ის, უკრაინის მოწინავე კულტურული დაწესებულების პროექტის ფარგლებში კიევში ყოველწლიურად იმართება. იულია 2012 წლიდან არის „წიგნის არსენალის“ გუნდის წევრი, თავიდან კურატორობას უწევდა საბავშვო პროგრამას და საბოლოოდ დანიშნაურდა მთელი ფესტივალის მთავარ კოორდინატორად. ბოლო სამი წელია ამ მოვალეობას ასრულებს.

ფესტივალი „წიგნის არსენალი“ უკრაინაში დიდი საერთაშორისო ინტელექტუალური ღონისძიებაა, სადაც წიგნი და ლიტერატურული და არტისტული სცენები ერთმანეთს უკავშირდება. 2019 წელს „წიგნის არსენალს“ მიენიჭა ლონდონის წიგნის ბაზრობის საერთაშორისო წარჩინების ჯილდო, როგორც საუკეთესო ლიტერატურულ ფესტივალს.

იულია კოზლოვეცი არის BolognaRagazzi-ს 2022 წლის ჟიურის წევრი.

წარსულში ის გახლდათ დამოუკიდებელი წიგნის მაღაზიის თანამფლობელი, მუშაობდა საბავშვო ლიტერატურის პოპულარიზაციაზე, ჩართული იყო რამდენიმე



ლელა ჯაფარიძე

ბულგარეთის წიგნის გამომცემელთა
ასოციაციის პრეზიდენტი.

სრული ბიოგრაფია იხილეთ 55-ე გვერდზე

მიჰაი მიხნიჩა

რუმინეთის წიგნის გამომცემელთა ასოციაციის
აღმასრულებელი დირექტორი.

სრული ბიოგრაფია იხილეთ 56-ე გვერდზე



11 აპრილი
15:30-16:20

სესია:

როგორ ეხმარებიან აგენტები მწერლებს კარიერულ წინსვლაში

ამ სესიაში ჩვენ მიმოვიხილავთ საგამომცემლო საზოგადოებაში ლიტერატურული აგენტების მზარდ როლს – როგორ შეუძლიათ მათ დაეხმარონ მწერლებს კარიერულ წინსვლაში, გამომცემლებს კი უკეთესი გამოცემების მომზადებაში. ჩვენი პანელის მონაწილეები ასევე განიხილავენ, თუ როგორ ასრულებენ აგენტები კულტურული დიპლომატიების როლს და პროფესიული საერთაშორისო ურთიერთობის დამყარებისა და გაძლიერების გზით იღებენ მონაწილეობას წიგნების უცხო ენებზე თარგმნაში.

მოღვაწეობენ: ედვარდ ნავოტკა

სპიკერები: იულია კობლოვეცი, არევიკ (არი) აშხაროიანი, მერვე დილერი, მანოლ პეიკოვი

იდეარ ნავოტკა


**Publishers Weekly, საერთაშორისო
და წიგნის გამავრცელებელთა
მიმართულების რედაქტორი. აშშ**



ედვარდ ნავოტკა არის ნიუ-იორკის სავაჭრო დარგის ჟურნალის – Publishers Weekly-ს – საერთაშორისო და წიგნის გამავრცელებელთა მიმართულების რედაქტორი. ასევე, გახლავთ ამავე ჟურნალის ესპანური გამოცემის აშშ-ის კოორდინატორი. 2020 წელს მონაწილეობა აქვს მიღებული ესპანეთის ქალაქ სევილიაში ამ დარგობრივი ჟურნალის ესპანურენოვანი ვერსიის დაფუძნებასა და გამოცემაში.

ედვარდ ნავოტკას ესეისტური და კრიტიკული ნამუშევრები გამოქვეყნებულია „ნიუ-იორკ ტაიმსში“, „ნიუ-იორკერში“ და სხვა არაერთ გამოცემაში, როგორც სამშობლოში, ასევე საზღვარგარეთ. ის არის საერთაშორისო სავაჭრო ვებსაიტის – Publishing Perspectives-ის – თანადამფუძნებელი და „ბლუმსბერგ ნიუსის“ კულტურის სვეტის ავტორი. ორ ათწლეულზე მეტია, რაც გლობალურ ბიზნესსა და მედიას მიმოიხილავს.

ცხოვრობს ჰიუსტონში, ტეხასში.



ნანეზიკ (ნანი) აუხაიოიანი

**ლიტერატურისა და ნიჭიერების სააგენტო „არი“,
ლიტერატურულ ფონდი „არი“ დამფუძნებელი და
ლიტერატურული აგენტი.**

სრული ბიოგრაფია იხილეთ 54-ე გვერდზე

მანვე დიღანი

**ლიტერატურული სააგენტო „კალემი“
(უცხოენოვანი არამხატვრული გამოცემების
ლიტერატურული აგენტი). თურქეთი**

სრული ბიოგრაფია იხილეთ 56-ე გვერდზე





მანოლ პეიკოვი

გამომცემელი, მთარგმნელი. საგამომცემლო სახლი „ჯანეტ 45“. ბულგარეთი

51 წლის მანოლ პეიკოვი ბულგარეთის ქალაქ პლოვდივში სტამბისა და საგამომცემლო სახლ „ჯანეტ 45“-ის მმართველი პარტნიორია. ასევე, მის მფლობელობაშია „ციფრული ბეჭდვის ქარხანა 2x2“, რომლის აღმასრულებელი დირექტორიც გახლავთ. მანოლის თანადაფუძნებულია ხმის ჩამწერი სტუდია „Pekarnata“. დამთავრებული აქვს პლოვდივის ინგლისური ენის უმაღლესი სკოლა და ბულგარეთის ამერიკული უნივერსიტეტი. მთარგმნელობის გარდა, პროფესიით მომღერალიც არის.

მანოლმა 40-ზე მეტი ავტორის წიგნის ტურნეს გაუწია ორგანიზება. მათ შორის იყვნენ ეთგარ კერეტი, დავიდ ალბაჰარი, კადერ აბდოლა, რავი ჰეიგი, ჰასან ბლასიმი, ჯონ კალმან სტეფანსონი, პარინუშ სანიე, ფაბიო ჯედა და ენაიათოლა აკბარი, რეი კლუნი, დეივ ეგერსი, ჟან გელი, მარია სტეპანოვა, ცრუია შალევი, კარლო პეტრინი, იან ნოვაკი, გუს კიერი და სხვები.

11 აპრილი

16:25-17:15

სესია:

ჩაშთა გამოცხადის თავისუფლების ანსი?

ბეჭდური პრესის გამოგონებისთანავე ცენზურის დაწესება და წიგნების აკრძალვა მთავრობებისთვის ხელსაყრელ მექანიზმად იქცა. პანელის მონაწილეები გაგვაცნობენ სიტუაციას თავიანთ რეგიონებში; განიხილავენ როგორ უნდა გაეცეს პასუხი ამ პრობლემას და რა შეუძლია საერთაშორისო საზოგადოებას მდგომარეობის გასაუმჯობესებლად.

მოღეჩაშორი: ტრასვინ ჯიტიდეჩარაკი

სპიკერები: ირაკლი კაკაბაძე, მეჰმედ ერქურტი, გუნელ მოვლუდი (იმანოვა)



ტრასვინ ჭიტიდჯარაკი

გამომცემელთა მსოფლიო ასოციაციის გამოცემის
თავისუფლების კომიტეტის წევრი. გამომცემელი,
Silkworm Books. ტაილანდი

1991 წელს ტრასვინ ჭიტიდჯარაკმა დააფუძნა Silkworm Books – ინგლისურენოვანი წიგნების დამოუკიდებელი გამომცემლობა, რომელიც სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიაზეა სპეციალიზებული. 2005 წელს დააარსა მეკონგ პრესის ფონდი, რათა დიდი მეკონგის ქვერეგიონში საგამომცემლო საქმიანობისთვის შეეწყო ხელი და გამომცემელთა კავშირი ჩამოეყალიბებინა. 2017 წელს ტრასვინმა დააარსა ილუსტრაციების პრემია (ASEAN) და გახდა ტაილანდის ბავშვთა უფლებების საერთაშორისო გამოფენის თანადამაარსებელი. ტრასვინი იყო ტაილანდის წიგნის გამომცემელთა და გამავრცელებელთა ასოციაციის მრჩეველი (PUBAT; 2009–15 და 2019–21) და იუნესკოს პროექტის (ბანგკოკი – წიგნის მსოფლიო დედაქალაქი 2013) სახე. 2015 წელს ბანგკოკში ხელმძღვანელობდა გამომცემელთა მსოფლიო ასოციაციის (IPA) კონგრესის 30-ე საორგანიზაციო კომიტეტს. 2012–2017 წლებში იყო IPA-ს აღმასრულებელი კომიტეტის წევრი. 2020–21 წლებში გახლდათ აზიის წიგნის გამომცემელთა ასოციაციის (ABPA) გენერალური მდივანი. 2017 წლიდან დღემდე IPA-ს გამოცემის თავისუფლების კომიტეტის წევრია.

ირაკლი კაკაბაძე

მწერალი. საქართველო



ირაკლი კაკაბაძე დაიბადა 1982 წლის 17 ნოემბერს. სხვადასხვა დროს სწავლობდა თბილისის სასულიერო სემინარიაში, თბილისისა და პეტერბურგის სახელმწიფო უნივერსიტეტებში. ეწევა პედაგოგიურ საქმიანობას, წლების განმავლობაში იყო ჟურნალ მასწავლებლისა და ინტერნეტ-გაზეთ Mastsavlebeli.ge-ს რედაქტორი. ავტორია არაერთი პოეტური და პროზაული კრებულებისა. ასევე შესრულებული აქვს არაერთი მნიშვნელოვანი თარგმანი. წიგნი ტანკები 2013 წლის ეროვნული ბესტსელერია. მისი ნაწარმოებები თარგმნილია ინგლისურ, თურქულ, ლიეტუვურ, რუსულ, ფრანგულ, ინგლისურ და ბელორუსულ ენებზე, არის მრავალი ლიტერატურული ფესტივალისა და პროგრამის მონაწილე. ეწევა აქტიურ სამოქალაქო საქმიანობას ადამიანის უფლებებისა და სიტყვის თავისუფლების გამოხატვის შელახვის წინააღმდეგ. ამჟამად ცხოვრობს თურქეთის რესპუბლიკის ქალაქ სტამბოლში, არის ქართული კულტურული ცენტრის – „გალაკტიონის“ და სტამბოლის ქართველთა სათვისტომოს დამაარსებელი. ასწავლის ქართულ ენას სხვადასხვა უმაღლეს სასწავლებელსა და საგანმანათლებლო დაწესებულებაში. 2020 წელს თურქულად ნათარგმნი „გამოსვლის წიგნი“ თურქეთში წიგნების მაღაზიათა ქსელმა „პანდორამ“ ბესტსელერების სიაში შეიყვანა.

მეჰმედ ნაჰუზი

გამომცემლობა Can Çocuk Yayınları, რედაქტორი,
მთავარი რედაქტორის მოადგილე. თურქეთი



მეჰმედ ერქურტმა დაამთავრა გალათასარაის უნივერსიტეტის კომუნიკაციების ფაკულტეტი და 2006 წელს კარიერა Günüşi Kitaplığı-ში რედაქტორის ასისტენტად მუშაობით დაიწყო, მოგვიანებით კი ამავე დაწესებულების მარკეტინგისა და კომუნიკაციების დეპარტამენტს ჩაუდგა სათავეში. მალევე ბოლაზინის უნივერსიტეტის მაგისტრის დიპლომი მოიპოვა თარგმანთმცოდნეობაში. სწავლის პარალელურად ნახევარ განაკვეთზე მუშაობდა მარკეტინგულ რედაქტორად და პასუხისმგებელი იყო საგამომცემლო სახლის ვებგვერდსა და სოციალური მედიის ანგარიშებზე. როგორც ON8-ის რედაქტორმა, ფრანგულიდან თურქულად ბევრი წიგნი თარგმნა. 2016 წლიდან მუშაობს მხატვრული ლიტერატურის რედაქტორად Can Çocuk Yayınları-ში, სადაც ასრულებს მთავარი რედაქტორის მოადგილის მოვალეობასაც.

მეჰმედი რეგულარულად წერს საბავშვო და საყმაწვილო ლიტერატურის მიმოხილვებს, ასევე ორგანიზებას უწევს წიგნის კლუბებს, რომლებშიც ძირითადად მოზარდები არიან განვერდიანებული. ასევე, ატარებს მხატვრული ლიტერატურისა და რედაქტირების სემინარებს ზრდასრულებისთვის განკუთვნილ წერის სახელოსნოებში.

გუნელ მოვლუდი (იმანოვა)

მწერალი. აზერბაიჯანი



გუნელ მოვლუდი (იმანოვა) 1981 წელს აზერბაიჯანში დაიბადა, ჯაბრაილის რაიონში. 1993 წელს, სომხეთთან ომის დაწყების შემდეგ, იძულებული გახდა მთიანი ყარაბაღის რეგიონში მშობლიური ქალაქი დაეტოვებინა. 2003 წლის აზერბაიჯანის კულტურისა და თეატრის სახელმწიფო უნივერსიტეტის სახვითი ხელოვნების ფაკულტეტის დასრულების შემდეგ, მოვლუდმა დაიწყო ჟურნალისტის და მწერლის კარიერა. 2012 წელს რადიო „თავისუფალი ევროპის“/„რადიო თავისუფლების“ აზერბაიჯანულენოვან სექციასთან (Azadliq) შტატგარეშე თანამშრომლობა წამოიწყო. 2013 წელს კი Meydan TV-ზე რედაქტორად და მწერლად მუშაობას შეუდგა.

გუნელ მოვლუდის სტატიების და თხზულებების მთავარი თემატებია დემოკრატია, ადამიანის უფლებები, გენდერული თანასწორობა, უმცირესობების უფლებები, სამშვიდობო პროცესები და ადამიანური ღირებულებები.

მოვლუდს გამოქვეყნებული აქვს წიგნები: „სიბნელე და ჩვენ“, „5XL“, „პასუხი გვიან შუადღეზე“, „ბანაკი – პატარა გოგონა ყარაბაღიდან“ და „მარინა“.

მისი პოეტური და პროზაული ნაწარმოებები თარგმნილია ინგლისურ, რუსულ, ქართულ, სომხურ, უკრაინულ, გერმანულ და ნორვეგიულ ენებზე.

12 აპრილი
10:00-10:50

სესია:

პანდემიის ზემოქმედებით ვაჭრობისთვის ნათელი მომავლის შენება

პანდემიამ წიგნის გაყიდვები განსაკუთრებული გამოწვევების წინაშე დააყენა, ისევე როგორც, ზოგადად კითხვა და მსყიდველობითი ჩვევები. ამ სესიაზე წიგნის გამავრცელებლები აზერბაიჯანიდან, საქართველოდან და თურქეთიდან დახატავენ წიგნის გავრცელების სურათს და ისაუბრებენ მკითხველებისა და წიგნის გამავრცელებლებისთვის ნათელი მომავლის შენების შესაძლებლობებზე.

მოღვაწეონ: ჯეიმს ტელიორი

სპიკერები: ნიგარ კოჩარლი, რუიამ ილმაზი, ირაკლი გაგნიძე

ჯეიმს ტეილორი

გამომცემელთა მსოფლიო ასოციაციის
დირექტორი კომუნიკაციებისა და გამოცემის
თავისუფლების მიმართულებით. შვეიცარია



ჯეიმს ტეილორი IPA-ს 2018 წლის იანვარში შეუერთდა, ბრიუსელიდან უენეციაში გადასვლის შემდეგ. ბრიუსელში ჯეიმსის კარიერა დაკავშირებული იყო კრეატიულ ინდუსტრიებსა და პოლიტიკის განმსაზღვრელ კომპანიებთან: ჯერ IMPALA, დამოუკიდებელი მუსიკალური კომპანიების ასოციაცია და შემდეგ SAA, კოლექტიური მართვის ორგანიზაციების დაჯგუფება სცენარის ავტორებისა და რეჟისორებისთვის.



ნიბაჲ კორანი

მაღაზიათა ქსელისა და საგამომცემლო სახლ
„ალი და ნინოს“ აღმასრულებელი დირექტორი
და დამაარსებელი. აზერბაიჯანი

სრული ბიოგრაფია იხილეთ 55-ე გვერდზე

რუიამ ილმაზი

წიგნის მაღაზია Gergedan Kitabevi,
მფლობელი და მენეჯერი. თურქეთი



1969 წელს სტამბულში დაბადებული ზეინეპ რუიამ ილმაზისთვის ლიტერატურა და კითხვა არა მხოლოდ გართობის საშუალება, არამედ ემოციური და სულიერი წყაროც იყო და ერთგვარი საყრდენიც. სტამბულის უნივერსიტეტში ბიზნესის ფაკულტეტზე სწავლისა და ადამიანური რესურსების სფეროში 15 წლიანი კორპორაციული კარიერის შემდეგ, 2008 წელს ილმაზი ადგილობრივი, დამოუკიდებელი წიგნის მაღაზიის (Gergedan Kitabevi) მფლობელი გახდა, მას შემდეგ რაც მაღაზიის წინა მფლობელმა მასში სანდო ადამიანი ამოიცნო.

ფინანსურად მომგებიან კარიერაზე უარის თქმით და წიგნების სიყვარულის ყოველდღიურ საქმიანობად გადაქცევით ილმაზმა Gergedan წარმატებულ ბიზნესად ვერ აქცია, მაგრამ ამ მაღაზიის კულტურულ ცენტრად ჩამოყალიბება მოახერხა.

ბოლო რვა წლის განმავლობაში Gergedan-ში ხელოვნებასთან, ლიტერატურასა და ჰუმანიტარულ მეცნიერებებთან დაკავშირებული შეხვედრები, სემინარები და სამუშაო შეხვედრები ეწყობა. Gergedan-ში არის ერთი წიგნის თარო, რომელსაც „არსად-სხვაგან-ყველაზე-გაყიდვადი“ ჰქვია – ამით ხაზს უსვამენ თავიანთ დამოკიდებულებას, რომ წიგნის ღირებულება ბაზრის მიერ მის მიმღებლობაზე მეტია. ილმაზის მცდელობები, ჩამოეყალიბებინა გახსნილი, ღია საზოგადოება, არაერთმა ჟურნალ-გაზეთმა შენიშნა, მათ Gergedan ერთ-ერთ საუკეთესო ავთენტურ წიგნის მაღაზიად დაასახელეს, ილმაკი კი კულტურის მუშაკად აღიარეს.



ირაკლი გაბუნიძე

„ბიბლუსი ჯგუფის“ პარტნიორი
და გენერალური დირექტორი.
საქართველო

დაიბადა 1982 წლის 10 ოქტომბერს. დაამთავრა თბილისის ეკონომიკურ ურთიერთობათა სახელმწიფო ინსტიტუტი, საინფორმაციო ტექნოლოგიების განხრით. არის მედიაჰოლდინგ პალიტრამედიის CEO-ს მოადგილე. ასევე, სხვადასხვა დროს იყო საქართველოს წიგნის გამომცემელთა და გამავრცელებელთა ასოციაციის გამგეობის არჩეული წევრი. ასევე ორჯერ იყო გამგეობის თავმჯდომარის მოადგილე. აქვს ბიზნესის მართვის მრავალწლიანი გამოცდილება სხვადასხვა სფეროში: ქსელური მარკეტები, ლოჯისტიკა, დისტრიბუცია და ა.შ.

2011 წლიდან ხელმძღვანელობს წიგნის მაღაზიათა ქსელს „ბიბლუსი“. მას დიდი წვლილი მიუძღვის საქართველოს მასშტაბით წიგნების გავრცელებისა და ხელმისაწვდომობის გაზრდაში.

„ბიბლუსი ჯგუფი“ არის საქართველოში საგამომცემლო პროდუქტების ყველაზე ფართო სავაჭრო ქსელი, რომელიც აკმაყოფილებს თანამედროვე სტანდარტებს და სარგებლობს მრავალრიცხოვანი მომხმარებლის დამსახურებული ნდობით. ასევე ფლობს სათამაშოების ქსელს „პეპელა“ და „XS“ და სუპერმარკეტების ქსელს „მულტი“.

12 აპრილი
10:55-11:45

სასია:

საავტორო უფლებები – გამოწვევები და შესაძლებლობები

სესიაზე თინა მამულაშვილი (სულაკაურის გამომცემლობა) ისაუბრებს მეჭმედ ერქურტთან (თურქეთი, Can Çocuk Yayınları) იმ გამოწვევებზე, რომლის წინაშეც წიგნის გამომცემლები საავტორო უფლებების დარღვევის გამო დგებიან. ისინი მოდერატორ ჯესიკა ზენგერთან (გერმანია) ერთად მიმოიხილავენ, თუ რა შეუძლიათ მთავრობებსა და საგამომცემლო ორგანიზაციებს მოიმოქმედონ იმისთვის, რომ გააძლიერონ საავტორო უფლებები თავიანთ ქვეყნებში და ეძიონ მსგავსებები თუ თანამშრომლობის შესაძლებლობები საკუთარ რეგიონებში და მათ მიღმა.

მოღიჯათონი: ჯესიკა ზენგერი

სპიკერები: მეჭმედ ერქურტი, თინათინ მამულაშვილი,



ჯესიკა ზენგერი

იურიდიული მრჩეველი, დირექტორი ევროპული და საერთაშორისო საქმეების მიმართულებით. გერმანიის გამომცემელთა ასოციაცია. გამომცემელთა მსოფლიო ასოციაციის საავტორო უფლებების კომიტეტის თავმჯდომარე. გერმანია

ჯესიკა ზენგერი არის გერმანიის წიგნის გამომცემელთა და გამავრცელებელთა ასოციაციის (Börsenverein des Deutschen Buchhandels) დირექტორი ევროპული და საერთაშორისო საქმეების მიმართულებით და გამომცემელთა მსოფლიო ასოციაციის საავტორო უფლებების კომიტეტის თავმჯდომარე. ქალბატონი ზენგერი 2008 წელს შეუერთდა გერმანიის წიგნის გამომცემელთა და გამავრცელებელთა ასოციაციას და 2011 წელს გახდა იურიდიული განყოფილების უფროსის მოადგილე. ის სამართალმცოდნეობას ექსტერსა და მაინცში სწავლობდა, ხოლო ადვოკატთა საკვალიფიკაციო გამოცდის ჩასაბარებლად მომზადება მაინცში გაიარა, სადაც სამართალმცოდნეობაში დოქტორის ხარისხი მოიპოვა. აქვს ევროკომისიის მედია განყოფილებაში (DG COMP) სტაჟიორ საქმის მმართველად მუშაობისა და მედიასამართალში LL.M პროგრამის მართვის გამოცდილება. ქალბატონი ზენგერი იყო მოწვეული ლექტორი ლუისვილისა და ბრისტოლის სამართლის სკოლებში საავტორო უფლებების დაცვის, სიტყვის თავისუფლების, საკონსტიტუციო სამართლის, რადიომანუწებლობისა და პრესის სამართლის მიმართულებით.

მეჰმედ ანჟუნი

გამომცემლობა Can Çocuk Yayınları, რედაქტორი, მთავარი რედაქტორის მოადგილე. თურქეთი

სრული ბიოგრაფია იხილეთ 73-ე გვერდზე



თინა მამულაშვილი

გამომცემელი, სულაკაურის
გამომცემლობა. საქართველო



თინა მამულაშვილი დაიბადა 1974 წელს თბილისში. 1990 წელს დაამთავრა თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელობის 53-ე საშუალო სკოლა და იმავე წელს ჩაირიცხა თსუ ჟურნალისტიკის ფაკულტეტზე. უნივერსიტეტში სწავლის პერიოდში პარალელურად მუშაობდა საქართველოს სახელმწიფო ტელევიზიის მეორე არხზე ჯერ გადაცემა „ტაიმ-აუტის“ რედაქტორად, ხოლო შემდეგ საინფორმაციო გამოშვების კორესპონდენტად. 1995 წლიდან იყო ბიოგრაფიული ლექსიკონის „ვინ - ვინაა საქართველოში“ პასუხისმგებელი რედაქტორი, საიდანაც დაიწყო მისი საგამომცემლო საქმიანობა. 1999 წლიდან არის „სულაკაურის გამომცემლობის“ დირექტორი. დაფუძნებისთანავე აქტიურად მონაწილეობდა როგორც თბილისის, ისე საერთაშორისო წიგნის ბაზრობებში; 2007 წელს იყო საქართველოს პირველი კოლექტიური სტენდის ორგანიზატორი ფრანკფურტის საერთაშორისო წიგნის ბაზრობაზე. სხვადასხვა დროს იყო საქართველოს წიგნის გამომცემელთა და გამავრცელებელთა ასოციაციის თავმჯდომარე, საქართველოს წიგნის ინსტიტუტის თანადამფუძნებელი, თბილისის წიგნისა და მუსიკის ფესტივალის ორგანიზატორი, სხვადასხვა საერთაშორისო პროფესიული სემინარისა და ფორუმის მონაწილე. ფლობს ინგლისურ და რუსულ ენებს სრულყოფილად; გერმანულ, ფრანგულ, იტალიურ და შვედურ ენებს კი საბაზისო დონეზე.

12 აპრილი

12:15-13:05

სასია:

თარგმანების მზადყოფნის პოპულარიზაცია: ადგილობრივი და გლობალური ტრანსფორმაციის პოპულარიზაცია

დისკუსიაში მონაწილეობას იღებენ გამომცემლები საქართველოდან, სომხეთიდან და რუმინეთიდან. ეს პანელი განიხილავს ბაზარზე მკითხველი აუდიტორიის ფორმირების მნიშვნელობას მაშინ, როდესაც ადგილობრივ მკითხველს საცდურად ევლინება და ყურადღებას უფანტავს საერთაშორისო პოპულარული ლიტერატურის თარგმანები.

რა მომენტში უკარგავს საერთაშორისო ბაზრის „ვარსკვლავები“ მკითხველს ინტერესს ადგილობრივი ავტორების ნამუშევრებისადმი?

როგორ უნდა იმუშაონ გამომცემლებმა და ავტორებმა თანამედროვე მკითხველებზე, განსაკუთრებით მაშინ, თუ სამთავრობო მხარდაჭერა ადგილობრივ ლიტერატურულ სცენას არ აქვს? რამდენად მნიშვნელოვანია სახელმწიფოს მხრიდან ადგილობრივი ნიჭისა და შემოქმედებითი ფასეულობის აღიარება, იმ მიზნით, რომ ბაზარს საკუთარი ლიტერატურით სიამაყისკენ უბიძგოს? რა შეუძლია პატარა ბაზრის წიგნის ბიზნესს გააყვას თავისი თანამედროვე მწერლების მხარდასაჭერად და ბაზარზე გასაყვანად, განსაკუთრებით იმ შემთხვევაში, თუ მსოფლიოს დიდი ბაზრებიდან თარგმნილი კომერციული ნამუშევრები მოედინება?

მოღვაწეობს: პორტერ ანდერსონი

სპიკერები: არმენ მარტიროსიანი, ზვიად კვარაცხელია, დენ კროიტორუ

პორტერ ანდერსონი

Publishing Perspectives, მთავარი
რედაქტორი. აშშ



პორტერ ანდერსონი არის ონლაინ გაზეთის - Publishing Perspectives - მთავარი რედაქტორი, რომელიც ფრანკფურტის წიგნის ბაზრობის საერთაშორისო საგამომცემლო ინდუსტრიისთვის განკუთვნილ პლატფორმას წარმოადგენს. ანდერსონი CNN, CNN.com და CNN ინტერნეშენალში მუშაობის ვეტერანია, ასევე თანამშრომლობდა რამდენიმე სხვა კომპანიასთან (the Village Voice, the Dallas Times Herald, The Bookseller და სხვა). 2019 წელს ლონდონის წიგნის ბაზრობის საერთაშორისო წარჩინების ჯილდო მიენიჭა, როგორც საერთაშორისო სავაჭრო პრესის ჟურნალისტს. საინფორმაციო სფეროს გარდა, ანდერსონი მუშაობდა გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში დიპლომატად და წარგზავნილი იყო რომის ცენტრალურ ოფისში მსოფლიო კვების პროგრამაში ჩართვისთვის. ასევე, იყო აღმასრულებელი მედია პროდიუსერი INDEX-ში (დიზაინი ცხოვრების გასაუმჯობესებლად – დანიური ჯილდო ჰუმანიტარული დიზაინისთვის მისი აღმატებულება ფრედერიკის, დანიის პრინცის პატრონაჟით). ანდერსონი ხშირად გამოდის საჯარო სიტყვით საერთაშორისო საგამომცემლო სცენაზე, მონაწილეობს სავაჭრო შოუებსა და წიგნის ბაზრობებზე, რომლებიც აზიაში, ევროპაში, აფრიკაში, ჩრდილოეთ ამერიკასა და შუა აღმოსავლეთში იმართება.



ჯაჰან ბაჰშიროსიანი

გამომცემლობა „ანტარესი“,
აღმასრულებელი დირექტორი. სომხეთი

სომხეთში 30 წლის განმავლობაში გამომცემლად მუშაობა საგამომცემლო ბაზრის შექმნას გულისხმობს. ეს ნიშნავს გახდეს ეკონომისტი, პროგრამისტი, ხელოვანი, მარკეტერი, ნოვატორი ქიმიკოსი პოლიგრაფიაში სიახლეების დასაანერგად, ლიტერატურული აგენტი, სარეკლამო სპეციალისტი, საზოგადოებასთან ურთიერთობის წარმომადგენელი, ლიტერატურული კრიტიკოსი, რომელსაც მცირეოდენი წარმოდგენა მაინც აქვს ძირითად ცნებებზე და, ერთგვარად, ფილოსოფოსიც კი. არმენ მარტიროსიანი წიგნის გამოსაცემად ამ პროფესიებს დაეუფლა. თუმცა ამისთვის ფულიც დასჭირდა. სწორედ ამიტომ ბიზნესმენი და, შეიძლება ითქვას, ფინანსისტიც კი გახდა.



ზვიად კვარაცხელია

მწერალი, გამომცემლობა „ინტელექტისა“
და „არტანუჯის“ მთავარი რედაქტორი.
საქართველო

1986 წელს დაბადებული ზვიად კვარაცხელია თანამედროვე ქართველი მწერალია.

2008 წელს დაამთავრა შოთა მესხიას სახელობის ზუგდიდის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურისპრუდენციის ფაკულტეტი.

2007-2008 წლებში იყო საჯარო ჟურნალ „პრემიერის“ არტ რედაქტორი, 2010-2011 წლებში კი – რედაქტორის მოადგილე ჟურნალში „ქართული მწერლობა“. მუშაობს საგამომცემლო სახლებში „ინტელექტი“ და „არტანუჯი“ მთავარ რედაქტორად და გამოცემების პროექტების კოორდინატორად. ზვიად კვარაცხელია არის რამდენიმე საგამომცემლო პროექტის ავტორი და რედაქტორი. 2013 წლის იანვრიდან ინტერნეტ ჟურნალ mastasvlebeli.ge-ს ბლოგერია. გამოქვეყნებული აქვს მოთხრობები, მინიატურები და ლიტერატურულ-დოკუმენტური ესეები ქართულ პერიოდიკაში, აგრეთვე შემდეგი მოთხრობების კრებულები: „მარჯვე ნა“ (2005 წ.), „ქარაგმა“ (2006 წ.), „ჰაე“ (2008 წ.), „ილია სამეგრელოში“ (2009 წ.), „ყიფლიბანდი“ (2011 წ.).

2014 წელს პირველი რომანისთვის „ფორმა N100“ წლის საუკეთესო რომანის კატეგორიაში დაჯილდოვდა ლიტერატურული პრემიით „საბა“.

2016 წელს „ფორმა N100“ გამომცემლობა „გეჯემ“ თურქეთში გამოაქვეყნა, წიგნის მთარგმნელია ჰარუნ ჩიმქე. 2022 წელს კი ეს რომანი მერი ჩაილდსის თარგმანით კანადაში „ბუკლენდ პრესის“ მიერ გამოიცა.

ზვიად კვარაცხელიას მოთხრობები ნათარგმნია თურქულ, აზერბაიჯანულ და ინგლისურ ენებზე და შესულია გამომცემლობების – Gece, ADK, Comma Press-ის – ანთოლოგიებში.

დენ კროიტორუ

Editura Polirom (საგამომცემლო სახლი „პოლირომი“), სარედაქციო მიმართულების დირექტორი. რუმინეთი



2001-2005 წლებში დენ კროიტორუ იყო საგამომცემლო სახლ „პოლირომის“ ჯერ რედაქტორი, შემდეგ კი მთავარი რედაქტორი, 2005-2012 წლებში გახდა რუმინული კულტურული ინსტიტუტის გენერალური მდივანი ბუქარესტში, 2013 წლიდან კი „პოლირომის“ სარედაქციო მიმართულების დირექტორია. ის არის უცხოური ლიტერატურული სერიის „პოლირომ ბიბლიოთეკის“ კოორდინატორი. გამომცემლობამ რუმინეთში გამოსცა ალბერ კამიუს, ფილიპ როთის, ერნესტ ჰემინგუეის, ვლადიმირ ნაბოკოვის, ჰენრი მილერის, ჯ.დ. სელინჯერის, ჰარპერ ლის, სალმან რუშდის, ჰარუკი მურაკამის, ჟოზე სარამაგუს, იენ მაკიუენის, ჩეზარე პავეზეს, ბორის პასტერნაკის, უმბერტო ეკოს, ოლგა ტოკარჩუკის, ორჰან ფამუქის, კორმაკ მაკარტის, თომას პინჩონის, კაზუო იშიგუროს, ელიფ შაფაქის, ბერნჰარდ შლინკის, ჯონათან კოეს, მიკა ვალტარის და სხვათა წიგნები. დენ კროიტორუ განაგებს საბავშვო წიგნების სერიას „ჯუნიორი“, რომელიც დინო ბუცატის, იენ მაკიუენის, ელიფ შაფაქის, მიხაელ ენდეს, უმბერტო ეკოს, სალმან რუშდის, სოფი კინსელას, ლედიცია კოსტასის, ფილიპ რივის, ფრენსის ჰარდინგის და ანა გავალდას ნაწარმოებებს მოიცავს.

2018 წლიდან დენ კროიტორუ რუმინული გამომცემლების ასოციაციის (AER) აღმასრულებელი საბჭოს წევრია.

ნათარგმნი აქვს იენ მაკიუენის 7 წიგნი, ასევე ჩაკ პალანიკის, ფ. სკოტ ფიცჯერალდის, იან მარტელის, ჰორას მაკკოის, უილიამ ს. ბუროუზის და თომას პინჩონის თხზულებები.

12 აპრილი
13:10-14:00

სასია:

დამოუკიდებელი გამოცხადობები – ისტორიები გაღარიბებისა და წარმატებისა

დამოუკიდებელი გამომცემლები მთელ მსოფლიოში შეუპოვრები, მოქნილები და შემოქმედებითები არიან. ისინი გვთავაზობენ მრავალფეროვნებას, რომელიც ჩვენს კულტურებსა და საგამომცემლო სექტორებს სჭირდება. თუმცა დამოუკიდებელ გამომცემელს წარმატებამდე მისაღწევად რთული გზის გავლა და დაბრკოლებების გადალახვა უწევს, ჭილდოს მისაღებად კი – სასტიკი ბრძოლა. ჩვენ მოვუსმენთ სამი რეგიონული დამოუკიდებელი გამომცემლის ისტორიას: ისინი მოგვითხრობენ, რა გზა განვლეს წარმატებისკენ, რა გამოწვევების წინაშე იდგნენ და რა შემატეს თავიანთ ინდუსტრიას.

მოღიჯაშორი: ემა ჰაუსი

სპიკერები: ნატა ძველიშვილი, დესისლავა ალექსიევა,
შაჰბაზ ხუდუოღლუ,



ემა ჭაუსი

საგამომცემლო სფეროს საერთაშორისო
კონსულტანტი. დიდი ბრიტანეთი

ემა ჭაუსი საგამომცემლო საქმის საერთაშორისო კონსულტანტია, რომელიც მთელი მსოფლიოს მასშტაბით წიგნის გამომცემლებთან და საგამომცემლო ორგანიზაციებთან ბიზნესის განვითარების, კვლევებისა და ღონისძიებებისა თუ პროექტების მართვის საკითხებზე თანამშრომლობს. ოცზე მეტი წელია ამ სფეროში მუშაობს და სხვადასხვა დროს მაღალი თანამდებობები ეკავა ლონდონის წიგნის ბაზრობის მენეჯმენტსა და გაერთიანებული სამეფოს წიგნის გამავრცელებელთა ასოციაციაში. ამჟამად არის როგორც გაერთიანებული სამეფოს წიგნის გამომცემელთა ტრენინგ ცენტრის რწმუნებული, ასევე PubliShee ქსელის საბჭოს წევრი – ეს ორგანიზაცია წიგნის ინდუსტრიაში გენდერული თანასწორობის გაუმჯობესებას ემსახურება.



ნატა ძველიშვილი

აღმასრულებელი დირექტორი,
გამომცემლობა ინდიგო. საქართველო

სანამ გამომცემლობა „ინდიგოს“ აღმასრულებელი დირექტორი გახდებოდა, ნატა თვითრეგულირებადი მედია გაერთიანების „საქართველოს ჟურნალისტური ეთიკის ქარტიის“ აღმასრულებელი დირექტორის მოვალეობას ასრულებდა. იქამდე რამდენიმე არასამთავრობო ორგანიზაციის და ასოციაციის საბჭოს წევრიც იყო, მათ შორის, საქართველოს წიგნის გამომცემელთა და გამავრცელებელთა ასოციაციის. ნატა ძველიშვილი რამდენიმე წიგნისა და ჟურნალისტებისთვის განკუთვნილი სახელმძღვანელოს ავტორია, რომელთა მთავარი თემები ჟურნალისტური ეთიკა და მედიაწიგნიერებაა. ის მუშაობს და კვლევებს ატარებს შემდეგ საკითხებზე: მედიის თვითრეგულირებადი სისტემები, მედიის ეთიკა, მონაცემების დადასტურება, მედიაწიგნიერება, პროპაგანდა და დეზინფორმაცია და სხვ.

ნატა ძველიშვილი მუშაობდა მედია-კრიტიკის პლატფორმის (mediachecker.ge) მენეჯერად. 2012 წლიდან ჩართულია სხვადასხვა მედია მონიტორინგის პროექტში და 2015 წლიდან ამ მიმართულების მთავარი მკვლევარია.

გარდა ამისა, ნატა ძველიშვილი საქართველოს სხვადასხვა უნივერსიტეტის მოწვეული ლექტორია. ნატამ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მაგისტრის ხარისხი მიიღო მედიაკვლევებში, ბაკალავრის კი – ჟურნალისტიკაში. 2017 წელს მან ოქსფორდის უნივერსიტეტში ანანბერგ-ოქსფორდის მედია პოლიტიკის საზაფხულო ინსტიტუტი დაასრულა. 2014 წელს რიგაში, სტოკჰოლმის ეკონომიკის სკოლაში გაიარა საგამოძიებო ჟურნალისტიკის მონინავე კურსი.

დენისაჲა აღეჲსიჲა

ბულგარეთის წიგნის გამომცემელთა
ასოციაციის პრეზიდენტი. ბულგარეთი

სრული ბიოგრაფია იხილეთ 55-ე გვერდზე



შაჲზაზ ხუდოლუ

საგამომცემლო სახლ

„ქანუნი“ აღმასრულებელი დირექტორი
და დამაარსებელი. აზერბაიჯანი

შაჲზაზ ხუდოლუ არის აზერბაიჯანის უძველესი და უდიდესი საგამომცემლო სახლ „ქანუნი“ აღმასრულებელი დირექტორი და დამაარსებელი. ქანუნი ყოველწლიურად გამოსცემს 300-400 დასახელების წიგნს. გამოქვეყნებულ ავტორებს შორის არიან პაულო კოელიო, დენ ბრაუნი, ჯ.კ. როულინგი, დეილ კარნეგი, ჯო ნესბო და სხვ. ქანუნი გამოსცემს ისეთ ქართველ ავტორებსაც, როგორებიც არიან შოთა რუსთაველი, გურამ ოდიშარია, არჩილ ქიქოძე, ლაშა ბუღაძე და სხვ.

საფრანგეთის კულტურის სამინისტრომ შაჲზაზ ხუდოლუ აზერბაიჯანში ფრანგული ლიტერატურის პოპულარიზაციაში შეტანილი წვლილისთვის ლიტერატურისა და ხელოვნების ორდენით დააჯილდოვა.

